ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/072

ქ.თბილისი **19 მაისი 2017 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ვახტანგ ქიზიყურაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „ბობერი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კობახიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია გამგეობის მიმდებარე ტერიტორიის მორწყვისათვის საჭირო პლასტმასის შლანგის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

№	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი, ლარი	ჯამი, ლარი
1	მოქნილი მილები 3/4'' 1653	2 ცალი	6	12
2	სილიკონის შლანგი 50მ 16 კგ 1/2	50 მ	3	150
	სულ:			162

2.2.CPV კოდი 44165100.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 162 (ასსამოცდაორი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საფინანსო დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის აპარატის უფროსის მ/შ ზურაბ გაგუნაშვილი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუვიანეს 5 დღის ვადაში;
6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1, ისნის რაიონის გამგეობა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 25 ივნისისა.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

ვ. ქიზიყურაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „ბობერი"
მის. ქ. თბილისი, გულიას ქუჩა №1
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE48 BG00 0000 0810 0258 00

კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 405 038 631

დირექტორი

გ. კობახიძე